# ცნობის ფურცელი

V წ. ყოველდღიური გამოცემა კვირა-დღეების შემდეგაც. — ოთხშაბათი, 22 მაისი 1900 წ. № 1131

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

რედაქცია იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.— დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე. (შუადღითა).

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цновисъ-Пурцели“—„Моамбе“.

ტელეფონი № 372.

საუკეთესოდ მოწყობილი
სტამბა
წიგნების გამომც. ქართველთა ამხ—ბისა
იღებს ყოველგვარ
სასტამბო საქმეებს
სტამბა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლში

## ახალი ამბავი

✦ **გზათა მინისტრი** თ. ხილკოვი ტფილისში აღარ ჩამოვა. 20 მაისს ის ყოფილა ფოთში; შემდეგ ნავთსადგურის დათვალიერებისა სამტრედიას წასულა; იქ დაუთვალიერებია ნავთის მილის სადგური. იმავე დღეს მინისტრმა დაწვრილებით დაათვალიერა ნავთის მილი მიხაილოვში და შემდეგ წავიდა მცხეთას. მცხეთიდან კი საქართველოს სამხედრო გზით გაემგზავრა პეტერბურგს.

✦ მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა საქართველოს **ექსარხოსი ფლაბიანე** 30 მაისს აპირებს პეტერბურგს წასვლას.

✦ 1-ლ მაისიდან 8-მდე ტფილისში 23 კაცი გახდა ავად სხვა-და-სხვა **გადამდებ სენით:** მათგან—ყვავილით—1, წითელათი—10, ქუნთრუშით—2, დიფტერიტით—1, სხვა-და-სხვა გვარ ტიფით—9 კაცი.

✦ „კავკაზ“-ში დაბეჭდილია შემდეგი **ოფიციალური ცნობა:** „გასაგებად იმისა, თუ რა გადამდები სენი გაჩნდა მუშებს შორის სოფ. ჭიათურაში (შორაპნის მაზრა, ქუთ. გუბ.), მთავარმართებლის თანაშემწის განკარგულებით, იქ გაიგზავნენ კავკასიის საექიმო ნაწილის უფროსი ფენომენოვი და კავკასიის სამხედრო საექიმო ლაბორატორიის გამგე ლუნკევიჩი. ზეჯითი განხილვის შემდეგ ექიმები დარწმუნდნენ, რომ ჭიათურაში ამ ჟამად სამი სენია: ფილტვების ანთება, ხურვება და სახადი. ზოგიერთს ერთსა და იმავე დროს ანთებაცა სჭირს და ხურვებაც; ამ გვარი ავადმყოფნი უმეტეს შემთხვევაში კვდებიან.

ავადმყოფთა სარჩენად ჭიათურაში მოწყობილია საგანგებო საავადმყოფო ექიმთა საკმაო რიცხვით; ხოლო სანიტარულ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ადმინისტრაციამ მიიღო საჭირო ზომები.“

✦ ოზურგეთიდან სწერენ „კვალს:“ 5 მაისს ნოტარიუსმა დაამტკიცა **ახლად დაარსებული ამხანაგობა** სახელწოდებით „შრომა და კაპიტალი“. ამხანაგობის მიზანია, საჭირო სანოვაგე იაფ-ფასათ მიაწოდოს გურიის მკვიდრთ და აგრეთვე ადგილობრივ სხვა-და-სხვა ნაწარმოებსაც კარგი ბაზარი მოუპოვოს სხვა ქალაქებში. პაი ღირს 30 მან., ფულის შეტანა შეიძლება ერთად და ნაწილადაც. მაგ., ახალ წევრს შეუძლიან პირველად მარტო 3 მან. შეიტანოს და შემდეგ კი ყოველ თვეში თითო მანეთი პაის შესრულებამდე. ამ ჟამათ ამხანაგობას ასამდე წევრი ჰყავს; უმრავლესობა მათგანი ოზურგეთის ახალგაზდა ნოქრები და ხელოსნებია.

## დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**20 მაისა**

**პოლტავა.** კიევის სამოსამართლო პალატის განყოფილება შეუდგა განხილვას პოლტავის სასულიერო კონსისტორიის მდივნის კომაროვის საქმისას. გამოწვეულია 128 მოწმე; მათგან 25 არ გამოცხადდა. ბრალდებულებმა განაცხადეს—არა ვართ დამნაშავენიო. დაიწყო გამოძიება. ყოვლად სამღვდელო ილარიონმა შემოთვალა, რომ ავადმყოფობისა გამო ვერ მოვალ სასამართლოშიო და ჩვენება სახლში ჩამომართვითო. მოწმეთა შორის არის მოკლულის კომაროვის ქვრივიც. დაიწყო მოწმეთა გამოკითხვა. პირველად ჩვენებას აძლევს კომაროვის ქვრივი. სულ პირველ დღეს ჩვენება ჩამოართვეს 9 მოწმეს. სხდომა გადიდვა ხვალისთვის.

**ხაბაროვსკი.** 15 მაისს, დილით, ქალაქ ოხოტსკში მიწის ძვრა მოხდა. ზარალი არაფერია.

**ჟიტომირი.** სახალხო განათლების მინისტრმა დაათვალიერა სასწავლებლები და საღამოს როვნოს წავიდა.

**ლორენცო-მარკეზე.** აქ მოვიდნენ კრიუგერის სიძე ფრიკკე ელოფი და ექიმი ჰეიმანი.

**ლონდონი.** ახალშენთა სამინისტრომ გამოაქვეყნა შემდეგი დეპეშა: „როგორც ჰფიქრობენ გოლი შევიდა 13 მაისს კუმასში თავის ჯარის ნაწილით. ჰფიქრობენ, რომ გუბერნატორი თავის ჯარით 17 მაისს მივიდა ფუმზუს, სადაც დაბანაკებულია პოლკოვნიკ კარტერის ჯარი, რათა შეებრძოლოს მტერს, რომელიც ჩრდილოეთით სდგას.

**ვინბურგი.** რენდლს მოუხდა საშინელი ბრძოლა სენეკალთან; ბურები მამაცურად იბრძოდნენ. საღამოს ბრძოლა კიდევ არ იყო დასრულებული.

**ვაშინგტონი.** სახელმწიფოები შეთანხმდნენ, რომ თითოეულმა მათგანმა 100 კაცი გადმოსვას გემიდან ჩინეთის ტერრიტორიაზე.

**კონსტანტინეპოლი.** ხედივი წავიდა ალექსანდრიიდან სულთანის სანახავად.

**ვაშინგტონი.** ამერიკელთა ელჩი პეკინში დეპეშით იტყობინება, რომ რაზმის მოსვლამ შესამჩნევად გააუმჯობესა მდგომარეობა. პეკინის ახლო-მახლო „დიდი მუშტის“ თანამგრძნობნი დათარეშობენ.

**ჰააგა.** პალატამ უარჰყო მუშების დაზღვევის პროექტი. მოელიან სამინისტროს სამსახურიდან გადადგომას.

**კონსტანტინეპოლი.** სერბიის ახალი ელჩი ჩამოვიდა.

**პარიზი.** მარშანის მისსიის მიღება მოხდება 1-ლ ივლისს.

სენატი. დიდძალ საზოგადოებას მოუყრია თავი. სენატს წარედგინა პროექტი ყველა იმ პირთა პატიების შესახებ, რომელთაც კავშირი ჰქონდათ დრეიფუსის საქმესთან. კლემანსერანი ლაპარაკობს პროექტის წინაალმდეგ, რადგანაც ის სპობს პატივსაცემ უფლებათაო. მაქსიმე ლეკონტი თხოულობს, რომ აპატიონ დრეიფუსსაც, რათა საქმე გათავდეს ქვეყნის სურვილის თანახმად (ხმაურობა). დელპეში ლაპარაკობს პროექტის წინაალმდეგ. შეუძლებელია, სთქვა მან, ეპატიოს დანაშაული მას, ვინც იყო მიზეზი დრეიფუსის უდანაშაულოდ დასჯისა, სახელდობრ—სამხედრო მინისტრად ნამყოფს“ (საშინელი ხმაურობაა). დელპეში თხოულობს, რომ მერსიე სამართალში იქმნას მიცემული (ხმაურობა მატულობს). გენერალი მერსიე ამბობს, რომ 1894 წელს ის მოქმედებდა ისე, როგორც ქვეყნის სიკეთე თხოულობდა. ხელმეორეთაც რომ დამჭირდეს ამ საქმის გარჩევა, ეხლაც მოვიქცევი, როგორც მაშინ (პროტესტები მემარცხენეთა. ზოგი ტაშსა სცემს). ტრარიე წინააღმდეგია პროექტისა და ამბობს, რომ უთუოდ გასამართლებულნი უნდა იყვნენ ისინი, ვინც სიყალბე ჩაიდინაო. სხდომა შეწყდა ხვალამდე.

**პეტერბურგი.** 20 მაისს დაიწყეს კეთება ჯავშნიანის ხომალდის „ორიოლისა“.

**პიატიგორსკი.** გაიხსნა სამკურნალო სეზონი ჟელეზნოვოდსკში.

**ვილნო.** 21 მაისს აქ მოდის საერო განათლების მინისტრი და საღამოს წავა პეტერბურგში.

**ტიანცზინი.** საფრანგეთის კონსულმა მიიღო ცნობა, რომ ხუთშაბათ დილას „დიდი მუშტის“ ბრბო თავს დაესხა 30 უცხოელს, რომელნიც ტიანციზისკენ მიეშურებოდნენ. შვიდი უცხოელი მოჰკლეს, რამდენიმე დასჭრეს; რა დაემართა დანარჩენთ, არავინ იცის.

ინგლისის გემი „ცენტურიონი“ და იტალიის „კალაბრია“ მოვიდნენ ტაკუს.

პოტინფიდან ცნობა მოვიდა, რომ „დიდი მუშტის“ ბრბოს ძალმომრეობის ამბავი მართალია. გაიგზავნა რაზმი დანარჩენ უცხოელთა სახსნელად.

**გრაფ-რეინეტი** (კაპის ახალშენი). მოხდა საერო ყრილობა უმთავრეს მოსამართლის ვილიეს ძმის თავმჯდომარეობით. მიღებულ იქმნა რეზოლიუცია, რომლით ახალშენელთა უმრავლესობა აცხადებს, რომ ომის მიზეზი იყო — უსინდისო და აუტანელი ჩარევა ინგლისის მთავრობის სამხრეთ-რესპუბლიკების საქმეშიო. ერთმა ორატორმა სთქვა, რომ ომის შემდეგ აღარ შეიძლება ხელი გავუწოდოთ ინგლისსაო. „შეგვიძლია განა ხელი ჩამოვართვათ ინგლისს, რომელმაც თავისი ხელი გაისვარა ჩვენის ძმის სისხლში?“ თავმჯდომარემ გააჩერა ორატორი და ურჩია ექონიათ თავ-შეკავებული კამათი.

**ბერლინი.** გემი ,კაიზერინ აუგუსტა“ მივიდა ტაკუში.

**ლონდონი.** რობერტსი იტყობინება იოჰანესბურგიდან: „ფრენჩს წინ გადაეღობა მტერი, მაგრამ მან უკან დააწევინა მას და წაართვა პოზიციები. ფრენჩი სდგას ეხლა იოჰანესბურგიდან ჩრდილოეთით. ჩვენ დაგვიჭრეს ორი ოფიცერი; მოგვიკლეს 2 ჯარის-კაცი და დაგვიჭრეს 27.“

21 მაისს.

**ლონდონი.** რობერტსი იოჰანესბურგიდან იტყობინება: „გაილენდერთა ბრიგადა მივიდა ბილბრონში; გზაზე ყველგან დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ; მოკლულია 8 ჯარის კაცი, დაჭრილია 4 აფიცერი და 32 ჯარის კაცი. რენდლს მოუკლეს 30 და 152 დაუჭრეს.

**ლორენცო-მარკეზე.** ტრანსვაალში მცხოვრებთათვის დეპეშების გზავნა შეწყვეტილია. ცნობებიდან სჩანს, რომ ბურების რაზმებმა მთელის თავის ძალით, ათი-ათას კაცამდე, დაიჭირეს პრეტორიის გარშემო მყოფ გორებზე ყველა სიმაგრეები. ბურების ძლიერი რაზმი სდგას ბრაგკოპსპრუიტთან. კრიუგერი იმყოფება მოხადსდორპში. ლორენცო-მარკეზში ელოფისა და დოქტორ ჰაიმანის საიდუმლო მოსლა გამოიწვია განზრახვამ — მიეღოთ ზომები ოქროს გაგზავნის დასაცავად.

**მასსერუ.** რენდლი დი ბრაბანტი გარს შემოერტყნენ ბურებს ფრისბურგიდან ხუთი მილის სიშორეზედ. ბურებს შეეძლოთ გაქცევა ბაზუტათა საზღვრებისაკენ, მაგრამ იქა სდგას ბაზუტთა წინამძღოლი ჯონატანი ათასი ბაზუტით.

**ლორენცო-მარკეზე.** პრეტორიაში მიმოსვლა შეწყვეტილია.

**კაპშტადტი.** ფაბერსპრუიტთან, დუგლისის ახლო, 700 ინგლისელს რომელთა სარდლათ უორენი ჰყავთ, თავს დაესხნენ 1000 მეამბოხე. შემდეგ ცხარე ბრძოლისა, მეამბოხენი, მოუკლეს და დაუჭრეს რა მათ მრავალნი, უკუქცეულ იქმნენ. ინგლისელთ 15 მოუკლეს და 30 დაუჭრეს.

**ლორენცო-მარკეზე.** აქ მოსულ ცნობებიდან სჩანს, რომ ვაალთან გზა შეკრულია. სტანდფონტენთან მოხდა სასტიკი ბრძოლა; ბურები შევიდნენ ორანჟეს რესპუბლიკის ჩრდილოეთ ნაწილში და შეებრძოლნენ ინგლისელებს ვენტერსბურგში, გარრისმიტში.

**პრეტორია.** მთავრობა დაიშალა. პრეტორიასა და რანდის შუა მიმოსვლა შესწყდა.

**ლონდონი.** უელსის პრინცი ივნისში წავა პარიზში გამოფენის დასათვალიერებლად.

**კონსტანტინეპოლი.** ოსმალეთის მთავრობამ ოფიციალურად შეატყობინა სერბიის, საბერძნეთის, რუმინიის, ჩერნოგორიის და ბოლგარიის მთავრობის წარმომადგენელთ, რომ საზღვრებზე შემოღებულია დიფერენციული ტარიფი შემოსატან საქონელზედ.

**იოკაჰამა.** ახალ სამინისტროს, ალბად, შეადგენს მარკიზი იტო.

**ვაშინგტონი.** მარკ დარტუმ მოითხოვა ახალი ჯარები ფილიპინისათვის. გაიგზავნება 3 პოლკი.

**ტუანგსი.** აქ მშვიდობიანობა ჰსუფევს. მცხოვრებნი ჭირნახულს ალაგებენ. ტუანგსისა და კურუმონის შუა კიდევ დათარეშობენ მეამბოხეთა რაზმები.

**გრაფ რეინეტი** (კაპის ახალშენი). ჰოლანდიელთა ყრილობამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც გამოცხადებულია, რომ, თუ ინგლისის მთავრობა მოინდომებს ბურების რესპუბლიკების შეერთებას, მშვიდობიანობა და კეთილ-დღეობა სამხრეთ აფრიკისა შეირყევა, ამ ქვეყანას აღარ დაუბრუნდება მშვიდობიანობა და თანხმობა. უთანხმოება შეიძლება მოსპობილ იქმნას მხოლოდ თავისუფლების და დამოუკიდებლობის მინიჭებით.

კაპის ახალშენის მცხოვრებთ უნდა მიეცეთ ხმა გუბერნატორის დანიშვნაში. ეს აალდენს საჭიროებას იქონიონ მუდმივი ჯარი მცხოვრებთ დასამშვიდებლად. ბურთა რესპუბლიკანი ყოველთვის მზად იქმნებიან აღმოუჩინონ კაპის ახალშენის მცხოვრებთ დახმარება წინააღმდეგ უცხო სახელმწიფოს სამხრეთ აფრიკაში შესვლისა.

ყრილობაზე არჩეულ იქმნა დელეგატები ინგლისში, ავსტრალიაში და კანადაში, რომ მათ გაიცნონ იქ კაპის ახალშენთა მეხედულება.

**პარიზი.** სენატი განაგრძობს ამნისტრის პროექტის განხილვას. ვალდეკი აცხადებს, რომ მთავრობის პროექტს საგნად აქვს დაამშვიდოს ქვეყანა და დავიწყებას მისცეს შეცდომები. ორატორი სთხოვს პალატას შეიწყნაროს პროექტი, რათა ამით გამოჰგლიჯოს ხელიდან რესპუბლიკის მტერთ საგიტაციო საშიში იარაღი. მარსერი ლაპარაკობს პროექტის წინააღმდეგ და თხოულობს იმათ პატიებას, ვინც უმაღლესმა სასამართლომ გაამართლა. კამათი დასრულდა. ფრიუშეს წინადადება, რომ ეპატიოს უმაღლეს სასამართლოს მიერ დასჯილთ, უარყოფილ იქმნა. მიღებულია მთავრობის პროექტი.

**ვინბურგი.** 16 მაისის ბრძოლას, რომელიც რენდელს ჰქონდა სენეკალთან, საგნათ ჰქონდა განედევნა ბურები ლინდლეიდან და განეთავისუფლებინა 500 მომწყვდეული იომანრი. რენდლმა ეს აღასრულა. კლემენტსი მივიდა სენეკალში, ბრაბანტი ფიქსბურგში ბურებმა შეაგროვეს ორანჟეს რესპუბლიკის ჯარები.

**პეტერბურგი,** 19 მაისი,*) ბირჟა. $5^0/_0$ გირავნობის ფურცლები ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილმამულო ბანკისა გაიყიდა $97^3/_4$, $4^1/_2{}^0/_0$ იყიდება 90 მან., $6^0/_0$ — ქუთაისის ბანკისა — 102 მ., $5^0/_0$ — 99 მან.

*) დაგვიანებულია.

დრ. რედ. **ალ. ჭყონია**

# გამოსადეგი ცნობანი

**რუსეთის ბაზრები:**

ფქვილი როსტოვში.

| ხარისხი. | | ხარისხი. | |
|---|---|---|---|
| № 0 — | 9 მ. 25 კ. | № 4 — | 7 » 25 » |
| № 1 — | 8 » 50 » | № 5 — | 7 » — » |
| № 2 — | 8 » — » | № 6 — | 6 » 75 » |
| № 3 — | 7 » 50 » | № 7 — | 6 » 25 » |

სიმინდი (ნოვოროსსიაში) 1 ფ. 54 კ. 41 კ. ქერი როსტოვში 66 კ. 62 კ.-მდე ნოვოროსსიაში 68 კ. 69 კაპიკამდე

მოტანა ტფილისამდე 1 ფ. 87 კ.

შაქარი იქვე ფუთი 5 მან 70 კ.

„ფშხვნილი „ 4 „ 80 „

მატყლი ისპანიური, თეთრი ფ. 10 მ. — 11 მ. 85 კ., მატყლი $10^0/_0$ შავ-ნარევი — ადგილობრივი — 3 მ. 50 კ. — 4 მ. 10 კ., გარეცხილი 8 მ. 37 კ. ისპანიის ჯიშის ცხვრის ტყავი თითო 2 მ. 60 კ.-მდე.

---

სააგადმყოფოები

**ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო,** მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში — 12 მ. თვ. ცალკე ოთახში — 60 მ. თვ.

**ქალაქის სამკურნალო.** მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ. ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი: ავლაბრისა,** კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

**კუკიისა,** ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

**ხარფუხისა,** კორონცოვის ქუჩა, სახლი იედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

**თვალების სამკურნალო,** ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

**ქალაქის საავადმყოფო სულით-ავადმყოფთათვის.** უფასო — იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის სააავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი — ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) კორონცოვის ქუჩა, მეძავის ნაწილი, სახლი მელიქიახცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

გამომც. გ. გუნია

Дозволено цензурою. Тифлисъ, 21 Мая, 1900 г. სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—სა. განჭის დიდი ქუჩა, № 27.